

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: Bank of Georgia – BOG) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **მობილ ბანკის** გასააქტიურებლად მან **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **მობილ ბანკის** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე**. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass-ით**, შესაძლებელია **Digipass-ით** დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. **მობილ ბანკში** ნებისმიერ **კლიენტს** ავტორიზაციის გარეშე საშუალება აქვს:
 - 5.1. დაუკავშირდეს **ტელეფონ ბანკს**;
 - 5.2. მიიღოს ინფორმაცია:
 - 5.2.1. **ბანკომატების**, სერვისცენტრების ან/და **თვითმომსახურების ტერმინალების** შესახებ, მათ შორის მოძებნოს უახლოესი **ბანკომატი**, **სერვისცენტრი** ან/და **თვითმომსახურების ტერმინალი**;
 - 5.2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ;
 - 5.3. განახორციელოს გადახდები, გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდებისა, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსებისა, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ლიცენზირებული კომერციული ბანკ(ებ)ის მიერ ემიტირებული ბარათ(ებ)ის გამოყენებით, ამასთან, გადახდების განხორციელებისას **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში გადახდები განხორციელდება **ძლიერი ავთენტიფიკაციით**;
 - 5.4. შექმნას გადახდების/გადარიცხვების შაბლონები (მათ შორის თემატური შაბლონები, მაგ. „ჩემი სახლი“, „ჩემი მანქანა“ და სხვ.);
 - 5.5. დაიმახსოვროს/შეინახოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**;
 - 5.6. გააზიაროს გადახდის ქვითარი;
 - 5.7. დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**;
 - 5.8. გაგზავნოს მეილი **ბანკში**;
 - 5.9. გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია**.
6. წინამდებარე **დანართის მე-5 პუნქტში** მოცემულის გარდა, **მობილ ბანკში** მხოლოდ **ძლიერი ავთენტიფიკაციით** ავტორიზებულ **კლიენტს** საშუალება აქვს:
 - 6.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**,
 - 6.2. დამატებით ისარგებლოს:
 - 6.2.1. პას კოდით ან/და თითის ანაბეჭდით **ავტორიზაციით**;
 - 6.2.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) **ავტორიზაციით**.
 - 6.3. მიიღოს ინფორმაცია:
 - 6.3.1. **ანგარიშებზე**, **კრედიტებზე**, საკრედიტო **ბარათებსა** და ანაბრებზე (დეპოზიტებზე);
 - 6.3.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (PLUS ქულები, MR ქულები, sCool-ები, **ელექტრონული ყულაბა**);

- 6.3.3. უახლოესი გადასახდელის შესახებ (კრედიტი, საკრედიტო ბარათი, **საკომისიო**, კომუნალური გადახდები);
- 6.3.4. **ბანკის** შეთავაზებების შესახებ, მათ შორის **ბანკში** მიმდინარე აქციების შესახებ;
- 6.3.5. საკრედიტო **ბარათის** და სადებეტო **ბარათის** ბანკომატიდან განაღდების დღიური თანხობრივი **ლიმიტისა** და **ბარათით** განაღდების **ოპერაციის** შესრულების რაოდენობის, ასევე განაღდების შედეგად დარჩენილი დღიური თანხობრივი **ლიმიტისა** და **ოპერაციის** შესრულების რაოდენობის შესახებ, მათ შორის, SOLO **ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტის** შემთხვევაში, სადებეტო **ბარათებით** ბანკომატიდან განაღდების დღიური ჯამური **ლიმიტისა** და **ბარათით** განაღდების **ოპერაციის** შესრულების რაოდენობის შესახებ.
- 6.4. გადაიხადოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 6.5. **მიმღებს** მისი მისი სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
- 6.6. შეასრულოს **გადარიცხვის ოპერაციები**, მათ შორის, **გადარიცხოს ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხა ან უარი თქვას **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის **გადარიცხვაზე**;
- 6.7. შეასრულოს **P2P გადარიცხვის ოპერაცია**, კერძოდ:
 - 6.7.1. **ბანკის ბარათის ანგარიშიდან**, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ბარათის საბარათე ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში გადარიცხოს თანხა;
 - 6.7.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში ჩარიცხოს თანხა.
- 6.8. **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულებისთვის დაიმსხვროს/შეინახოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)**;
- 6.9. **P2P გადარიცხვის ოპერაციის**, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვისთვის დააგენერიროს ბმული;
- 6.10. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 6.11. შეასრულოს **კონვერტაცია მობილ ბანკის** კურსით;
- 6.12. გააფავორიტოს **ანგარიში ან/და ბარათი ან/და არ გამოაჩინოს ანგარიშები**;
- 6.13. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 6.14. გაააქტიუროს/გამორთოს **ბარათის დაცვის მომსახურება ან/და ბარათის 3D უსაფრთხოება**;
- 6.15. გააზიაროს **ანგარიშის** ნომერი;
- 6.16. ჩამოტვირთოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 6.17. მოძებნოს სასურველი მოდული ან/და ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 6.18. გაააქტიუროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა** და შეიტანოს მასში ცვლილებები;
- 6.19. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **ავტომატური გადახდების ან/და მუდმივი საგადახდო დავალება**;
- 6.20. ჩაერთოს ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში (მხოლოდ SOLO კლიენტებისათვის);
- 6.21. PLUS ქულები გადაცვალოს მომსახურებაში;
- 6.22. PLUS ქულები გადარიცხოს;
- 6.23. მოიწვიოს **მესამე პირი** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 6.24. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 6.25. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **SMS ბანკი**;
- 6.26. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, **ფინანსური ნომერი** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**;

- 6.27. შეცვალოს/დაამატოს **ბანკის კლიენტი** არასრულწლოვანი პირის **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, **ფინანსური ნომერი** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**, რომლის კანონიერ წარმომადგენელადაც არის დაფიქსირებული **ბანკში**;
- 6.28. გახსნას/დაარღვიოს ანაბარი (დეპოზიტი);
- 6.29. შეუკვეთოს სადებეტო **ბარათი**, მათ შორის **ციფრული ბარათი**, აგრეთვე განახორციელოს სადებეტო **ბარათის** შეკვეთა **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში**;
- 6.30. გააუქმოს სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული **ბარათის** შეკვეთის განაცხადი
- 6.31. გააქტიუროს **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათი**;
- 6.32. გამოაჩინოს **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**;
- 6.33. გააუქმოს **ანგარიშთან** დაკავშირებული, მის მფლობელობაში/მის სახელზე არსებული, ნებისმიერი სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული **ბარათი**, გარდა შესაბამის **ანგარიშთან** დაკავშირებული უკანასკნელი **ბარათისა**.
- 6.34. შეასრულოს **QR გადახდები** ამ **დანართის მე-17 პუნქტით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 6.35. გააქტიუროს **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ი** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ი**, **ოვერდრაფტი**) ან/და ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტი**, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში), **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 6.36. მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბარზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 6.37. დაფაროს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტი** სრულად ან ნაწილობრივ;
- 6.38. მიანიჭოს/გააუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 6.39. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Google Pay ან Apple pay საგადახდო აპლიკაციაში(ებში);
- 6.40. **მობილ ბანკის** ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს ქ.თბილისის, ქ.ბათუმის, ქ.ზუგდიდის და ქ.რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული შეღავათიანი სამგზავრო ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის განსაზღვრა პლასტიკურ **ბარათზე** ან Google Pay ან Apple pay საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე**, ასევე ქ.თბილისის, ქ.ბათუმის, ქ.ზუგდიდის და ქ.რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული შეღავათიანი სამგზავრო ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის გადატანა პლასტიკური **ბარათიდან** Google Pay ან Apple pay საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე** ან პირიქით, Google Pay ან Apple pay საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათიდან/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებიდან** პლასტიკურ **ბარათზე**.
- 6.41. მიიღოს **ფულადი გზავნილი**;
- 6.42. ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი დაფიქსირება **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 6.43. გააქტიუროს **SOLO ანგარიშთა პაკეტი** და **იმილ ბანკი**;
- 6.44. **ბარათის** მეშვეობით განახორციელოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 6.45. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა ან/და მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა თანხის გაყოფის ფუნქციონალით ან/და გააუქმოს აღნიშნული მოთხოვნა ან/და ჩათვალოს აღნიშნული მოთხოვნა მიღებულად.

- 6.46. დააინიციროს ავტომატური რევერსალის პროცედურა მომენტალური განვადების ფარგლებში **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შესაბამისი **კრედიტ(ებ)ის** გაუქმების მიზნით, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.47. **მოზილ ბანკში** დაამატოს/განაახლოს სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.48. გაუზიაროს **ანგარიშების, ანგარიშებზე** არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია სხვა კომერციულ ბანკს ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.49. **ბანკის კლიენტი** არასრულწლოვნისთვის შეუკვეთოს სადებეტო **ბარათი** თუ იგი **ბანკში** დაფიქსირებულია აღნიშნული არასრულწლოვანი პირის კანონიერ წარმომადგენლად, მათ შორის, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების** ფარგლებში.
- 6.50. გაიაქტიუროს წვდომა **დანართის 25-ე პუნქტით** განსაზღვრულ საინვესტიციო მოდულზე.
- 6.51. **გადარიცხოს** თანხა **ანგარიშიდან** წინამდებარე **დანართის 25-ე პუნქტით** განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის მიერ საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ ანგარიშზე და ამ ანგარიშიდან **ანგარიშზე**.
- 6.52. განახორციელოს **კლიენტსა** და წინამდებარე **დანართის 25-ე პუნქტით** განსაზღვრულ საბროკერო კომპანიას შორის დადებული საბროკერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაციები.
- 6.53. აღადგინოს **PIN კოდი**;
- 6.54. შეავსოს ავტომობილის მართვისას მესამე პირის წინაშე წარმოშობილი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შეძენის განაცხადი, შეიძინოს შესაბამისი დაზღვევა (განაცხადოს თანხმობა დაზღვევის/სადაზღვევო პოლისის პირობებზე), გადაიხადოს შესაბამისი დაზღვევის საფასური და დაათვალიეროს შეძენილი დაზღვევის სადაზღვევო პოლისი;
- 6.55. როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დაადასტუროს იურიდიული პირის საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ ან/და ინტერნეტ ბანკით ან/და შეტყობინების სერვისით მომსახურების შესახებ განაცხადი.
- 6.56. შეიძინოს ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათი;
- 6.57. შეავსოს სამოგზაურო დაზღვევის შეძენის განაცხადი, შეიძინოს შესაბამისი დაზღვევა (განაცხადოს თანხმობა დაზღვევის/სადაზღვევო პოლისის პირობებზე), გადაიხადოს შესაბამისი დაზღვევის საფასური და დაათვალიეროს შეძენილი დაზღვევის სადაზღვევო პოლისი;
- 6.58. **ბარათის ანგარიშიდან, ბანკის ბანკომატით** გაანაღდოს თანხა, **ბანკის ბანკომატზე** მითითებული QR კოდის **მოზილ ბანკის** გამოყენებით დასკანერებით.
- 6.59. სასაჩუქრე ბარათის მიღება ან/და სხვა ფიზიკური პირისთვის გადაცემა/გაგზავნა;
- 6.60. სასაჩუქრე ბარათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება;
- 6.61. **მოზილ ბანკში კლიენტის** ან **მესამე პირის** ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მონაცემების მითითებით შაბლონ(ებ)ის შექმნის საფუძველზე, შემდგომში შესაბამისი გადასახდელის **გადახდის ოპერაციის** შესრულების მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით, მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია (შემდგომში - **ავტომანქანის შაბლონი**):
- 6.61.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ფოტო/ვიდეო დაკვირვების კამერების მიერ შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით გამოწერილ ჯარიმებთან (მათ შორის, ჯარიმზე დარიცხულ საურავებთან) დაკავშირებით;
- 6.61.2. ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის მინიციპალურ საზღვრებში, შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით, პარკირების საშვების შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, თუ ავტომატური შაბლონის საკომისიოს გადახდის თარიღში კლიენტის ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა კლიენტის მიერ შექმნილი ყველა ავტომატური შაბლონის შესაბამისი საკომისიოს დასაფარად, მაშინ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ავტომატურად გააუქმოს იმ ავტომატური შაბლონი, რომლის საკომისიოს დაფარვაც არ/ვერ განხორციელდება ავტომატური შაბლონის საკომისიოს გადახდის თარიღისთვის. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ავტომატური შაბლონების საკომისიოს ჩამოჭრისა და გაუქმების რიგითობა/პრიორიტეტულობა.
8. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული ბარათის გაუქმებით არ ხდება აღნიშნულ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრულ ბარათზე მიბმული ანგარიშის დახურვა.
9. კლიენტს, რომელიც წარმატებით გაივლის ონლაინ იდენტიფიკაციას ან ფლობს ბანკის ბარათ(ებ)ს, შესაძლებლობა აქვს მობილ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში. ონლაინ იდენტიფიკაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს; ხოლო, ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე რეგისტრაციისას, კლიენტი უთითებს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს რის შემდეგაც უნდა მიუთითოს ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ფინანსურ ნომერზე. ერთჯერადი კოდის წარმატებით მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.
10. მობილ ბანკით პაროლის აღსადგენად კლიენტმა უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და მიუთითოს ერთჯერადი კოდი, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი. კლიენტი ერთჯერად კოდს მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე ან/და ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე პაროლის აღდგენის შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც. ამასთან, პაროლის აღსადგენად, ერთჯერადი კოდის შეყვანამდე კლიენტი შესაბამის ველში, ბანკის შეხედულებისამებრ უთითებს ფინანსურ ნომერს ან ფინანსურ ელექტრონულ ფოსტას.
11. მხოლოდ პას კოდით ავტორიზაციის გასააქტიურებლად, კლიენტის სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული სანდო მოწყობილობის სტატუსი, კლიენტმა უნდა გაიაროს ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია და შემდეგ აირჩიოს პას კოდით ავტორიზაცია, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის ძლიერი ავთენტიფიკაციით. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით ავტორიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
12. კლიენტს, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი ან სახის ამომცნობი (face ID), მობილ ბანკში ავტორიზაციისათვის შეუძლია პას კოდით ავტორიზაციასთან ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) ავტორიზაციის მეთოდიც. ამისათვის კლიენტმა უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) და დაადასტუროს ძლიერი ავთენტიფიკაციით.
13. მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის ან/და პას კოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში მობილ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.
14. ძლიერ ავთენტიფიკაციას საჭიროებს შემდეგი ოპერაციები:
 - 14.1. გადარიცხვა მესამე პირთან, მათ შორის, ბანკის სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვა, ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ბანკის მიერ გადარიცხვის ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება ისეთ მიმღების სასარგებლოდ, რომელსაც კლიენტის მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 14.2. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება მიმღებისთვის;

- 14.3. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 14.4. **ციფრული ბარათის** შეკვეთა ან/და **ბარათის** განბლოკვა;
- 14.5. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათის** აქტივაცია;
- 14.6. **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემების** გამოჩენა;
- 14.7. **მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** შეცვლა/აღდგენა;
- 14.8. ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 14.9. **ავტომატური გადახდების** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალების** გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;
- 14.10. **ელექტრონული ყულაბის** გააქტიურება/გამორთვა ან/და **ბარათის 3D უსაფრთხოების** გამორთვა;
- 14.11. PUSH ნოტიფიკაციების გამორთვა;
- 14.12. **SMS ბანკის** გამორთვა;
- 14.13. **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის, მათ შორის მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის, **ფინანსური ნომრის** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტის** ცვლილება/დამატება;
- 14.14. **ბანკის კლიენტი** არასრულწლოვანი პირის **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაციის, მათ შორის მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის, **ფინანსური ნომრის** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტის** ცვლილება/დამატება, რომლის კანონიერ წარმომადგენლადაც არის დაფიქსირებული **ბანკში**;
- 14.15. **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ის** (მათ შორის საკრედიტო **ბარათ(ებ)ის**, **ოვერდრაფტი**) გააქტიურება, ასევე, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა **კრედიტ(ებ)ის** ხელშეკრულებაში(ებში).
- 14.16. ანაზრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტის** გააქტიურება **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 14.17. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Google Pay ან Apple pay საგადახდო აპლიკაციაში(ებში) დამატება;
- 14.18. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში ჩართვა;
- 14.19. PLUS ქულები გადარიცხვა;
- 14.20. **ბარათის** მეშვეობით ახარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის ახარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის შევსება;
- 14.21. მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მობილური მოწყობილობისათვის სანდო მოწყობილობის სტატუსი მინიჭება.
- 14.22. სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის დამატება/განახლება **მობილ ბანკში**.
- 14.23. **ანგარიშების, ანგარიშებზე** არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის სხვა კომერციულ ბანკისთვის ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის გაზიარება.
- 14.24. წინამდებარე **დანართის 25-ე პუნქტით** განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის მიერ საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი ანგარიშიდან თანხის **გადარიცხვა ანგარიშზე**.
- 14.25. **PIN კოდის** აღდგენა.
- 14.26. როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ იურიდიული პირის საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ ან/და ინტერნეტ ბანკით ან/და შეტყობინების სერვისით მომსახურების შესახებ განაცხადის დადასტურება.
- 14.27. ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნა;
- 14.28. **P2P გადარიცხვის ოპერაციის** ფარგლებში **ბანკის ბარათის ანგარიშიდან**, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ბარათის საბარათე ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში თანხის გადარიცხვა;

- 14.29. **ბანკის ბანკომატზე** მითითებული QR კოდის **მობილ ბანკის** გამოყენებით დასკანერებით, **ბარათის ანგარიშიდან, ბანკის ბანკომატით** თანხის განაღდება;
- 14.30. **P2P გადარიცხვის ოპერაციის**, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათო ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვისთვის ბმულის გენერირება;
- 14.31. სასაჩუქრე ბარათის მიღება ან/და სხვა ფიზიკური პირისთვის გადაცემა/გაგზავნა.
15. იმ შემთხვევაში თუ **ავტორიზაციის** შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, **მობილ ბანკი** ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის (გარდა **ბარათით** გადახდისა) **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ავტორიზაცია** ხელახლა.
16. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტთან** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების მეთოდი, მათ შორის შეცვალოს იმ **ოპერაციების** ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაციას**. ამასთან, თუ **ბანკის** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ძლიერ ავთენტიფიკაციას** არ საჭიროებს ისეთი **მესამე პირის** სასარგებლოდ განხორციელებული **გადარიცხვა/გადახდა**, რომლის თანხა არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს და ამასთან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვიდან/გადახდიდან** მიმდინარე **გადარიცხვის/გადახდის** თანხის ჩათვლით **გადარიცხვის/გადახდის** ჯამური თანხა არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ან **კლიენტის** მიერ ბოლოს **ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** შემდგომ **კლიენტის** მიერ მიმდევრობით შესრულებული **გადარიცხვის/გადახდის** რაოდენობა არ აღემატება ხუთს.
17. თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეუზღუდოს/გააუქმოს **კლიენტს მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურება, როგორც კონკრეტულ **მესამე პირთან** მიმართებაში, ასევე სრულად მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ: ა) თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მიმღები **მესამე პირი** მოითხოვს მომსახურების შეზღუდვას/გაუქმებას ან/და; ბ) **ბანკის** მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთის განმავლობაში **კლიენტის** მიერ გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა, რომელის საფუძველზე **მესამე პირებმა** არ განახორციელეს თანხის ჩარიცხვა აღემატება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ლიმიტს ან/და; გ) **კლიენტი მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურებით სარგებლობს არამიზნობრივად/არაკეთილსინდისიერად.
18. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის ერთ-ერთ მეთოდს, კერძოდ:
- 18.1. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტი** უნდა სარგებლობდეს **მობილ ბანკით** (ფოტო/ვიდეო კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონით) და ფლობდეს აქტიურ **ანგარიშს**, რომელთანაც დაკავშირებულია აქტიური სადებეტო ან/და საკრედიტო **ბარათი** (**ბარათი** არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის).
- 18.2. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **მობილ ბანკში**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიახლოების გზით.
- 18.3. **QR გადახდის** შესრულების მიზნით **კლიენტი**:
- 18.3.1. ირჩევს **საბარათო ანგარიშს**, საიდანაც სურს გადახდის შესრულება.
- 18.3.2. **მობილ ბანკში** შეჰყავს გადასარიცხი თანხის ოდენობა და ადასტურებს **ოპერაციას** შესაბამისი ლილაკით.
- 18.4. იმისათვის, რომ შესრულდეს **QR გადახდა კლიენტის ანგარიშზე** უნდა იყოს **ოპერაციისათვის** საკმარისი თანხა და **ანგარიშზე** არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე სახის შეზღუდვები (მათ შორის საჯარო სამართლებრივი).
- 18.5. **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** დადასტურების შემდეგ შესაბამისი თანხა გადაირიცხება მიმღების ანგარიშზე.

- 18.6. **კლიენტი** უფლებამოსილია **QR გადახდა** განხორციელოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** რიცხვული თანხა უცხოურ ვალუტაშია **QR გადახდის** ინიცირების შემთხვევაში, განხორციელდება თანხის კონვერტაცია გადახდის დღეს **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
- 18.7. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიმღების** თანხმობის შემთხვევაში, **მობილ ბანკიდან** მოახდინოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირება. ამისათვის **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს შესაბამის ველში თანხის უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდის** შეყვანა, რომელიც **ბანკის** მიერ გაეგზავნება **მიმღებს**.
- 18.8. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია **ოპერაციის** განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 18.9. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ თანხის დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის **მიმღების, ბანკში** არსებული ანგარიში აქტიურია და **მიმღების** ანგარიშზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სამართლებრივი).
- 18.10. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ინიცირებიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.
19. **P2P გადარიცხვის ოპერაციის**, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის ბმულის გენერირებისთვის **მობილ ბანკის** შესაბამის გვერდზე **კლიენტმა** უნდა აირჩიოს **ბანკის** მიერ ემიტირებული იმ **ბარათის ანგარიში**, რომელზეც სურს ბმულის მეშვეობით **ოპერაციების** საფუძველზე თანხის მიღება. ამასთან:
- 19.1. ბმული არის უვადო და მრავალჯერადი გამოყენების.
- 19.2. ბმულის შექმნის შემდეგ, **კლიენტი** უფლებამოსილია შეცვალოს **ბანკის ბარათის ანგარიში**, რომელზეც სურს თანხის მიღება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში უკვე შექმნილი ბმული არ იცვლება და მისი მეშვეობით **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია (ცვლილების შემდეგ **კლიენტი** თანხებს მიიღებს უკვე შეცვლილ/ახლად მითითებულ, **ბანკის ბარათის ანგარიშზე**).
- 19.3. ბმულის გაზიარება შესაძლებლობა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა).
- 19.4. ფიზიკურ პირს, რომელთანაც **კლიენტი** გააზიარებს ბმულს, ნებისმიერ დროს შეუძლია გადავიდეს ბმულზე და შეასრულოს **P2P გადარიცხვის ოპერაცია**.
20. **კლიენტი** ვალდებულია, **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულებისთვის, წინამდებარე **დანართით** დადგენილ პირობებთან ერთად განუხრელად დაიცვას დოკუმენტ **“P2P გადარიცხვის ოპერაციით მომსახურების პირობებით”** დადგენილი პირობები, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.
21. **ბანკის ბანკომატზე** მითითებული QR კოდის **მობილ ბანკის** გამოყენებით დასკანერებით, **ბარათის ანგარიშიდან, ბანკის ბანკომატით** თანხის განაღდებასას, **კლიენტზე** სრულად გავრცელდება **ბარათისთვის ბანკის** მიერ დადგენილი **ლიმიტები**, ასევე **ბარათის** მეშვეობით, **ბანკის ბანკომატიდან** თანხის განაღდებასთვის დადგენილი **საკომისიოები**.
22. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისაგან** თანხის ჩარიცხვის, მათ შორის, თანხის გაყოფის ფუნქციონალით თანხის ჩარიცხვის მოთხოვნისთანავე, **მესამე პირს** მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, **კლიენტის ანგარიში**, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ **მესამე პირს** მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი**

არის **ბანკის** სხვა კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება მის **ფინანსურ ნომერზე** ან **PUSH** ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.

23. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი სადებეტო **ბარათის**, მათ შორის, არასრულწლოვნისთვის შეკვეთილი სადებეტო **ბარათის** აქტივაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას სათანადო ფორმით გადაეცა შეკვეთილი **ბარათი** და რომ მან მიიღო **ბარათის PIN კოდი**.
24. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ: ა) სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** არსებული ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ **მობილ ბანკში** ინფორმაციის დამატებით, **ბანკი** იძენს უფლებას **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევის მიზნებისთვის და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სხვა პერსონალური ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ბ) **ბანკი** არ აგებს პასუხს **ანგარიშების**, მათზე არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ სხვა კომერციული ბანკისთვის ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის ინფორმაციის გაზიარების შედეგად, გაზიარებული ინფორმაციის მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგებზე ან/და ნებისმიერი ზიანზე/ზარალზე, რომელიც შეიძლება მიაღდეს ნებისმიერ **მესამე პირს** ამ ინფორმაციის გაზიარებით. გ) მისთვის ცნობილია, რომ ამ **პუნქტით** გათვალისწინებული ინფორმაციის გაზიარებაზე/მიღებაზე **კლიენტის** თანხმობა მოქმედია განსაზღვრული ვადის განმავლობაში დ) **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **ბანკს** მოსთხოვოს ამ **პუნქტის** „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შეწყვეტა ან/და მიღებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტა, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
25. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **კლიენტი/პირი**, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
 - 25.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **მობილ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 25.2. ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **მობილ ბანკის** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 25.3. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელის გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 25.4. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **მობილ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**.
 - 25.5. ადასტურებს, რომ **მობილ ბანკით** არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ სარგებლობაზე გაცხადებული თანხმობის ფარგლებში, **ბანკი** უფლებამოსილია არასრულწლოვან **კლიენტს** მისცეს შესაძლებლობა გაიაქტიუროს/ისარგებლოს **BOG sCoolApp**, **ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია **დანართი 26 – BOG sCoolApp**
26. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ:
 - 26.1. საინვესტიციო მოდული წარმოადგენს **მობილ ბანკში** ინტეგრირებულ საბროკერო კომპანია სს „გალტ ენდ თაგარტი“-ის (ს/ნ: 211359206) ონლაინ პლატფორმას;

- 26.2. საინვესტიციო მოდულზე წვდომის გააქტიურებით **კლიენტი** საბროკერო კომპანიასთან დებს/ეთანხმება საბროკერო კომპანიის საბროკერო ხელშეკრულებას, სრულად საკუთარი პასუხისმგებლობით;
- 26.3. საბროკერო კომპანიასთან ხელშეკრულების დადების შედეგად **კლიენტს** ეძლევა საშუალება საინვესტიციო მოდულის გამოყენებით განახორციელოს ის ოპერაცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება **კლიენტსა** და საბროკერო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, მათ შორის და არა მხოლოდ, ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა, თანხის გადარიცხვა **ანგარიშიდან** საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე საბროკერო კომპანიის მიერ გახსნილ ანგარიშზე ან/და ამ ანგარიშიდან **ანგარიშზე**;
- 26.4. საინვესტიციო მოდულზე წვდომის შესაძლებლობა ან/და საინვესტიციო მოდულში ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა არ არის და არ უნდა იქნეს გაგებული ან/და ინტერპრეტირებული, როგორც, **ბანკის** მხრიდან **კლიენტის** მიმართ განხორციელებული შეთავაზება/რეკომენდაცია გააფორმოს საბროკერო ხელშეკრულება ან/და განახორციელოს საინვესტიციო მოდულზე წვდომა ან/და განახორციელოს საინვესტიციო მოდულში ოპერაციები ან/და შეასრულოს საბროკერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანზაქციები. საინვესტიციო მოდულში ნებისმიერ ოპერაციას **კლიენტი** ასრულებს საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილების საფუძველზე და სრულად საკუთარი პასუხისმგებლობით.
- 26.5. **კლიენტი** სრულად პასუხისმგებელია და **ბანკი** არ აგებს პასუხს **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ საინვესტიციო მოდულში განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე ან/და ქმედებაზე ან/და მათ შედეგზე ან/და მათ შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიან/ზარალზე, რომელიც მიადგა/შესაძლოა მიადგეს **კლიენტს** ან/და ნებისმიერ **მესამე პირს**.
27. **კლიენტის** მიერ **მობილ ბანკით** შეძენილი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობები განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილება #20-8-ის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის დამატებითი პირობების ნახვა **კლიენტს** შეუძლია შემდეგ მისამართზე: <https://conditions.bog.ge/ge/conditions-fee>. ამასთან, **ბანკის** ვებ-გვერდზე განთავსებულ ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილება #20-81 განსაზღვრულ პირობებს შორის შეუსაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #20-81-ით განსაზღვრულ პირობებს.
28. **მობილ ბანკით** შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს ორი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის შეძენა. ამასთან, ერთზე მეტი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის შეძენის შემთხვევაში შეძენილი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათების მოქმედების ვადები დაჯამდება.
29. იმ შემთხვევაში თუ **მობილ ბანკით** მოსარგებლე **კლიენტი** გააქტიურებს/ავტორიზაციას გაივლის **BOG sCoolApp**, ამ უკანასკნელს **BOG sCoolApp** გააქტიურების შემდგომ შეეზღუდება **მობილ ბანკით** სარგებლობა. აღნიშნული პირობა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **კლიენტი Scool Card** გარდა სარგებლობს **ბანკის** სხვა **საბანკო პროდუქტებით** ან/და სხვა **ანგარიშით** გარდა **Scool Card** დაკავშირებული **ანგარიშისა**. ამ შემთხვევაში **კლიენტს BOG sCoolApp** მეშვეობით წვდომა ექნება მხოლოდ **Scool Card ანგარიშებთან** დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
30. სასაჩუქრე ბარათის მფლობელ **კლიენტს მობილ ბანკის** მეშვეობით შესაძლებლობა აქვს სასაჩუქრე ბარათის შესახებ ნახოს/მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- 30.1.1. სასაჩუქრე ბარათის მომსახურების პირობების შესახებ;
- 30.1.2. იმ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესახებ, სადაც შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიღება;
- 30.1.3. სასაჩუქრე ბარათის გადამცემი პირის ვინაობის შესახებ (თუ სასაჩუქრე ბარათი სხვისგან მიიღი);
- 30.1.4. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის შესახებ;
- 30.1.5. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის ათვისების **ოპერაციის** შესახებ;
- 30.1.6. სასაჩუქრე ბარათის მოქმედების ვადის შესახებ;

30.1.7. სასაჩუქრე ბარათის კოდის შესახებ, რომელიც საჭიროა სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან პოს-ტერმინალზე ან ელექტრონული კომერციის ტერმინალზე (ინტერნეტ სივრცეში) სასაჩუქრე ბარათის გატარებისთვის.